N 182 31/05/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლელა ჩახვაძის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 27 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია). აგრეთვე ვიყავი ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“-ს თავმჯდომარე.

საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში 12 -ჯერ, ჩემი ხელმძღვანელობით მოწვეული და ჩატარებული იქნა ფრაქცია ,,ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ 4 სხდომა.

ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ მოწვეულ თათბირებში, საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში და 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვებში, რომელიც შემდგომ იქნა დამტკიცებული.

საკრებულოს სხდომაზე დავაყენე საკითხები:

- პირველი სკოლისთვის ნოე ჟორდანიას სახელის მინიჭების თაობაზე.

- ბაგა-ბაღის თანამშრომლებისთვის ხელფასის მომატება.

- საკრებულოს და მერიის თანამშრომლებისთვის ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

- სოფ. ნინოშვილის კულტურის სახლში განათების მოწყობის თაობაზე.

- გრიგოლეთის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობის და ხეების გაჩეხვის შეჩერების შესახებ.

აგრეთვე საკრებულოს წევრებს მოვუწოდე, რომ მათი ხელფასიდან სიმბოლური თანხა გადაერიცხათ ,,სოლიდარობის ფონდში“, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს.

განვიხილე და მერიის აუდიტის სამსახურს გადავუგზავნე ა(ა)იპ ,,სპორული ცენტრის“ თანამშრომელთა მიერ შემოტანილი წერილი.

აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში.

გამოვითხოვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებიდან დასაქმებული თანამშრომლების სია და თანამდებობრივი სარგოები, რომელზეც ვაგრძელებ მუშაობას.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას, რათა 2019 წელი იყოს უფრო ნაყოფიერი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

ლელა ჩახვაძე

საკრებულოს წევრი
საკრებულოს წევრები